რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
ფასი განცხადებისა [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

1 სექტემბრიდამ ამ წლის დამლევამდე

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ზანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ცალკე ნომრები

„დროებისა“

თფილისს გარდა შემდეგ ქალაქებში ისყიდება.

გორში—რკინის გზის სტანციის ბუფეტში.

ქუთაისში: სვიმონ ჩომახიძესთან, ტიპოგრაფიაში, ბულვართან,

ბექათუბანში—სტანციის ბუფეტში,

ხაშურში (მიხაილოვში)—სტანციის ბუფეტში,

ოზურგეთში—თუმანოვის მაღაზიაში,

ახალციხეს—უფ. ილ. ვარძელოვის მაღაზიაში.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

ყარაიალი, 14 სექტემბერს. შუა დაღესტანის აღელვება, შეყენებული გუნიბის მაზრაში, 9 სექტემბრიდამ მოედო ყაზიყუმუხის და დაღესტნის ნაწილის მაზრებს. აჯანყებულები უეცრად დაეცნენ ყუმუხის მაზრის სამმართველოს, გაანადგურეს ის, დახოცეს: პოლკოვნიკი ჩემბერი, სამმართველოს წევრნი და 50 სალდათები. 11 სექტემბრიდგან სამხრეთ დაღესტანშიაც გამოჩნდა არეულობა, სადაც აჯანყდა კაიტახო-ტაბასარანის მაზრა. იმავე დროს პოლკოვნიკების თ. ნაკაშიძის და ტერ-ასატუროვის ჯარების ვაჟკაცურის მოქმედებით აჯანყებულები რამდენჯერმე დამარცხდნენ და ლავაშის აულთან შეგროვილი ექვსი ათასამდინ კაცი გაიფანტნენ, რისაგამოც არეულობა შუა დაღესტანში თითქმის მოსპობილია.

ჯარი იქიდამ ეხლა კაიტახის მაზრისკენ მიდის, სადაც არეულობის მოსასპობათ და მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ სამხრეთ დაღესტანში ღონის-ძიებებს ვხმარობთ. აჯანყებულებთან ყველა შეტაკების დროს ჩვენ მოგვიკლეს ხუთი სალდათი და დაჭრილები არიან სამურის პოლკის პოდპორუჩიკი პროკოფიევი, პრაპორშჩიკი ბიკოვსკი და 40 სალდათი და მილიციონერი.

გორნი სტუდენი, 14 ენკენისთვეს. 10,000 კაცმა ოსმალოს ჯარმა თავის არტილერიით, სოფიიდამ მომავალმა, 10-ს სექტემბერს გაარღვია პლევნოსთან დამდგარი ჩვენი კავალერია, შევიდა პლევნაში და ოსმან-ფაშას ჯარს შეუერთდა. დაწვრილებითი ამბავი, ამ საქმის შესახებ, ჯერ არ მოსულა.

რუსჩუკისა და ბალკანისაკენ მშვიდობიანობაა.

ვენა, 14 სექტემბერს. ბუშინ ვენგრიის მინისტრმა ტისსამ მიიღო ოსმალეთის მოყვარე ვენგრიელების დეპუტაცია, მოისმინა მათი პეტიცია და, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვა უთხრა იმათ: „მე გადავცემ თქვენს პეტიციას სახალხო კრებასა; მაგრამ ახლა კი გეტყვით, რომ ამაში მოყვანილი ჰაზრები უადგილო ჰაზრებია. ჩვენი საზოგადო მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მონარხიისა და განსაკუთრებით ვენგრიის ინტერესები დავიცვათ.“

ამავე დღეს ერთს ბანკეტზე ტისსამ სთქვა: „ჯერ არ არის დრო, მაგრამ როცა მოვა, მაშინ მე თვითონ ჩემის შვილით წავალ მებრძოლთა საძებნელად და მოვსძებნი კიდეცა.“

ვენა, 25 სექტემბერს. „Голосъ“-ის დეპეშა: ოსმალეთის მთავრობამ შეუკვეთა ინგლისში ჯარისათვის საზამთრო ტანისამოსი.

სულინთან ხელ-ახლად გამოჩნდნენ ოსმალოს ხომალდები.

სერბიის მთავარმა გაუგზავნა პორტას ნოტა, რომელშიაც სთხოვს, რომ სერბიის სამზღვრებს მოაშოროს თავის ჯარი, რადგან ეს გარემოება აღელვებს ჩემს ხალხსაო.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

არტაანი, 8 ენკენისთვეს. („დროების“ კორრესპონდენტი). 3-ს ამ თვეს, ათ საათზე დილით, ექვსი ბატალიონი, ორი ყაზახის სოტნა, ლეკებისა და ჩეჩნების პოლკი თავიანთ კამანდრით—ღენერალ ჩერმოევით, და ოსების სოტნა, თორმეტი ზარბაზნით, წაასხა ლაშქარში ჩვენი ატრიადის უფროსმა ღენერალ-მაიორმა კუზმინსკიმ პანჯრუტის მხრით, სადაც ოსმალოს ჯარი იდგა და აშარს (სურსათს) აგროვებდა მუხთარ-ფაშის ჯარისათვის სოფლებიდგან.

ოსმალოებმა გაიგეს თუ არა, რომ მიდიან იმათზედ რუსები, გაიქცნენ. ამის გამო მთელი ეს ატრიადი არ ყოფილა საქმეში; მარტო კავალერიას ჰქონდა ოსმალოს პიკეტებთან პატარა შეტაკება, რომელშიაც დაიჭრა ერთი მილიციონერის ცხენი.

როგორც ამბობენ, იქ იყო ექვსი ტაბორი (ბატალიონი) ქვევითა ჯარი და 300 მეტი ცხენოსანი ოთხი ზარბაზნით სულეიმან-ფაშის ხელ-ქვევით.

ამ ადგილას ოსმალოებს დიდი მაგარი ორი პოზიცია გაეკეთებინათ და აშენებდნენ თავიანთვის ქვიტკირის ყაზარმებსა, ფურნეებს და თავლებს ცხენებისათვის და მოეგროვებინათ თივა და ქერი. ჩვენმა ჯარმა სულ დაუწვა ეს აშენებული ყაზარმები და სხვ. და მობრუნდა უკან ამ თვისვე 5-ს შუა დღეზე.

ეხლა, როგორც ისმის, ოსმალო აპი-

რებს არტაანზედ დაცემას ყარსიდგან და ბათუმიდგან ერთბაშათ, ორთავ მხრიდგან მაგრამ ჩვენებიც ცუდათ არ არიან: მუდამ დღე გვემატება ჯარი და კიდევ, როგორც ამბობენ, მგონი, უწინდელი უფროსი ამ ატრიადისა ღენ. კომაროვი მოდის თავის ადგილზედ. თუ მართლა ის მოვიდა, მაშინ უფრო შიში არაფრისაა.

წვრილი ამბები ბევრი არის: ეხლაც ამ სალამოზედ ერთმა ამ გვარი საქმეების კარგა მცოდნე პირმა მითხრა, რომ მითომ მეჰრ-ალი თავისი პარტიით, 600 კაცამდინ, დაეცა დუხაბორების სოფელს ეფრემოვკას და ბარცოვკადგან წავიდნენ მისაშველებლათაო.

დიდათ საკვირველია -- როგორ შეეპარათ ჩვენ პიკეთებსა, რადგან დუხაბორიაში კარგა ჯარი დგა. მაგრამ მეჰრალისაგან ამ გვარი საქმის ჩადენა გასაკვირველი არ არის.

დ. თუხარელოვი

ბუშინწინ თფილისში მოსული ოფიციალური დეპეშა გვაცნობებს, რომ ამ ენკენისთვის 9-ს დერვიშ-ფაშას ხუცუბნიდამ დაუწყია ჩვენ მუხა-ესტატეს ბანაკისაკენ ზარბაზნის სროლა; მაგრამ ამ სროლისაგან ჩვენებს არავითარი ზიანი არ მისცემია.

ამავე დღეს ოსმალოს ჯავშნიან ხომალდებიდამაც დაუწყვიათ სროლა და მოლთაქვიდამ დაწყებული შეკვეთილამდინ რამდენიმე ყუმბარა უსროლიათ ზღვის ნაპირებზე.

—

გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი [illegible] დეპეშა ერევნის ატრიადიდამ 7 სექტემბერს მიღებული:

„ი გ დ ი რ ი, 5 სექტემბერს. 31 აგვისტოს, ღამით, იზმაილ-ფაშას ჯარმა რვა ვერსზე გამოიწია აქეთ, ჩვენკენ. 1 სექტემბერსა და დღეს იმათ დაუშინეს ყუმბარები სოფ. ხალფალუს, სადაც ჩვენი მოწინავე ჯარია დაბანაკებული.

„იზმაილ-ფაშას 35,000 კაცი ჰყავს.

„დღე-დღეზე იმისაგან თავს-დასხმას მოველით, რადგან ამბობენ, რომ იზმაილ-ფაშას ბრძანება მოსვლია, უეჭველად წინ გამოიწიოს და დაგვეცეს ჩვენ, რისთვისაც იმისათვის, სხვათა შორის, დიდი ზარბაზნებიც გამოუგზავნიათ.

„ბუშინ მოვიდა აქ ღენერალი დეველი.

„ი გ დ ი რ ი, 6 სექტემბერს. დღის გათენებიდამ მტერმა ყოველი მხრით ზარბაზნის სროლა დაგვიწყო. შუადღემდინ სროლა არ შეწყვეტილა; ამ დროს იზმაილ-ფაშას თან-და-თან ძირს ჩამოჰყავდა თავის ჯარები, და აკეთებდა ტრანშეებსა და გზებს.“

—

ყარაიალელი კორრესპონდენტი ზემოხსენებულისავე გაზეთისა, ერევნის ატრიადისავე შესახებ, შემდეგ სიტყვებს იწერება 27 აგვისტოს:

„ყიზილ-ტაფასთან ჩვენი დამარცხების მეორე დღეს, დიდი მთავარი ნამესტნიკი მობრძანდა აქ და თვითონ იკისრა ყოველი საქმის ხელმძღვანელობა. იმ წამსვე ღენ. დეველის ატრიადი და აგრეთვე რამდენიმე პოლკი, რომელიც ერევნის ატრიადის დასახმარებლად იყო გაგზავნილი, უკან დააბრუნეს ისევ ქურუქ-დარაში. ღენ. ტერ-ღუკასოვმა ვერ ისარგებლა იმ ჯარით, რომელიც იმას გაუგზავნეს და დღეს, იზმაილ-ფაშაზე თავს-დასხმის ნაცვლად, თვითონ ერთ ალაგას არის გაჩერებული და ცდილობს, რომ მტერი შიგ ერევნის გუბერნიაში არ შემოუშვას.“

ესვე კორრესპონდენტი ამბობს, რომ, თუმცა ჩვენ ჯერ-ჯერობით გამარჯვებული არა ვართ, მაგრამ ჯარი ძალიან მხნეთ არისო და მოუთმენელად მოელიან, რომ მტერს სამაგიერო გადაუხადონო.

—

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი იგდირიდამ 7 სექტემბერს გამოგზავნილი ტელეგრამმა:

„დღეს, დილის 9 საათზე, ჩვენ პირ-და-პირ დაბანაკებულმა იზმაილ-ფაშამ ჩამოგზავნა მთებიდამ ხუთი კოლონა, რომელთაგან ორი ხალფალუს მიადგა და სამიც ბაზარალუხსა და ხაბარს. გაცხარებული ზარბაზნის სროლა შეიქნა; ჩვენები 8 ზარბაზნიდამ ესროდნენ. 11 საათზე მტერი თავის ბანაკში დაბრუნდა.“

—

უფ. ბრადოვსკი, ჩინებული კორრესპონდენტი გაზეთის „Голосъ“-ისა შემდეგ ამბავს იწერება ყარაილიდამ 25 აგვისტოს:

„ამბობენ, რომ, როცა ოსმალოს ჯარები ყიზილ-ტაფას მოადგნენ, ყველაზე წინ მოდიოდა ოსმალოს „ორლეანელი ქალწული“ ყარა-ფატმა. მე მითხრეს, რომ ეს ყარა-ფატმა ახალგაზდა, ლამაზი, მდიდარი ქალი არისო. იმას მოუგროვებია ბრუსსაში 500 ცხენოსანი მარჯვე ბიჭები, თავის ხარჯით დაუიარაღებია, თვითონაც კაცური ტანისამოსი ჩაუცვამს და ასე მოუძღვის წინ ამ თავის ჯარსაო. ის მუხთარ-ფაშის არმიაშია ჩარიცხული, და სადაც კი უფრო საშიში შეტაკებაა, ყველაზე პირველად ის მიდისო.

„გაიხსენეთ ამასთანავე ქალები, რომელნიც ყარსთან იბრძოდნენ და მაშინ, იმედია, გამოიცვლით იმ გაცვეთილ ჰაზრს, რომ ოსმალოს ქალები მარტო ჰარამხანისთვის არიან გამოსადეგარნიო.“

—

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps-ში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც ამბობს, რომ აქ მოვიდა დერვიშ - ფაშასაგან ამბავიო, რომ 8 სექტემბერს გვქონდა ჩვენ მუხა-ესტატესთან დაბანაკებულ რუსის ჯართან შეტაკება და გამარჯვებულნი ჩვენ დავრჩითო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

„მოსკოვის უწყებების“ [illegible] (224) ნომერში [illegible] „Daily News“-იდამ გადმობეჭდილია შემდეგი კორრესპონდენცია ბუხარესტიდამ:

„ბუშინ 1 სეკტემბერს, მივატოვე მე ბრძოლის ველი პლევნოსთან. ორი რედუტი, რომელიც 30 აგვისტოს აიღო ღენ. სკობელევმა, მეორე დღეს, ექვსჯერ თავს-დასხმის შემდეგ, ისევ წაართვეს ოსმალოებმა. ამასთანავე ოსმალოების ხელში ჩავარდა სამი რუსის ზარბაზანი. ღენ. სკობელევმა რამდონჯერმე ითხოვა, რომ ახალი ჯარი მეეშველებინათ; მაგრამ დროზე ვერ მიაშველეს და ეს იყო მიზეზი იმის დამარცხებისა.

„რუსებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ ორი რედუტიდამ და გრივიცის მაღლობებიდამ დაუშენდნენ პლევნას ყუმბარებსა და, როგორც იქნებოდა, აიღებდენ ამ ქალაქს, რომელმანც ამდენი მსხვერპლი მოითხოვა; ახლა, რადგან ეს ორი რედუტი ისევ წაართვეს ოსმალოებმა, სანამ ახალი ჯარი არ მოუვათ, ამ თავიანთ წადილს ვერ შეასრულებენ.“

„გრივიცისაკენ გაუწყნარებლივ ისვრიან ოსმალოები პლევნიდამ ყუმბარებს; ინგლისის პოლკოვნიკმა შელსლეიმ დახედა ეს რედუტი და ამბობს, რომ იქ ბევრი რუსისა და და რუმინიის მოკლული სალდათები ჰყრიაო.“

ამ დღეებში მოსულის ოფიციალურ ტელეგრამმით ვიცით, რომ ერთი იმ რედუტთაგანი ჩვენმა ჯარმა ხელ-ახლად წაართვა მტერს 6 სექტემბერს.

—

„Новое Время“-ში იწერებიან ადრიანოპოლიდამ, რომ დღე არ გაივლის ისეო, რომ რამდენიმე კაცი ბოლგარიელი სიკვდილით არ დასაჯონ აქაო. უბრალო ეჭვის აღება ღალატზე ან მტერთან კავშირის დაჭერაზე საკმაო არისო, რო რომელსამე ბოლგარიელს თავი გააგდებინონო. ვინც აქედამ გაიქცა, ყველას მამულები და ქონება სახაზინოთ ჩაირაცხა და ომისათვის ხმარობენო.

—

ინგლისური გაზეთის „Times“-ის შუმლელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ პლევნა ამ ჟამად (1 სექტემბერს) თითქმის სრულებით ვარ-შემორტყმულია რუსის ჯარითაო. მაგრამ ოსმალოებს კი მაინც იმედი აქვთო, რომ ოსმან-ფაშა გამაგრდება პლევნოში, არ დაუთმობს რუსებსაო და თუ იძულებული შეიქნა, რომ დაუთმოს, გზას კიდევ მონახავსო, რომ ამ ქალაქიდამ მშვიდობით გამოვიდესო.

—

მეორე ინგლისურს გაზეთში „Daily Telegraph-ში შიპკიდამ იწერებიან, რომ 2 სექტემბერს ოსმალოსა და რუსის ჯარს შუა დუბნიკთან ფიცხელი შეტაკება იყოვო და რამდონიმე საათის სრო

ლის შემდეგ, რუსები იძულებული შეიქნენო, რომ ეს თავიანთი გამაგრებული—დუბნიკი მიეტოვებინათო.

ეს გაზეთი ერთობ ოსმალების მომხრე გაზეთია და ამიტომ ძნელად დასაჯერებელია ის ამბავი, ვითომ ამ შეტაკების დროს ოსმალოს ჯარმა ცხრა ზარბაზანი დაატოვებინა რუსებსაო.

გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 3 (15) სექტემბერს ბუხარესტიდამ მიღებული:

„ხუთჯერ მ[ივიდნენ] ერიშით ოსმალოები ღენ. სკობილევის ჯარზე პლევნოსთან; ხუთივეჯერ უკან დააბრუნა, მაგრამ მეექვსეჯერ კი რუსებმა ველარ გაუძლეს და იძულებული შეიქნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. ღენ. სკობილევს დაეხოცა ამ შეტაკებაში თითქმის ნახევარი თავის ატრიადისა და ამას გარდა ოსმალოებმა ისევ უკანვე წაართვეს სამი რედუტი (სიმაგრე), რომელიც ორი დღის წინათ (29 აგვისტოს) რუსებმა აიღეს. გრივიცის რედუტი კი რუსების ხელში დარჩა“.

საქართველო

ლეკების არეულობა

წერილები კახეთიდამ

I

სიღნაღი, 10 სექტემბერს. მეარშინე მეყურძნეს უახლოვდება, გუთნის-დედა მევექსელეს გვერდით უდგება!

ძაღლებმაც ესე იციან: ერთი უბნის ძაღლები შემოვარდნილ მგელს კბილითა გლეჯენ ხოლმე,—მაგრამ მშვიდობიანობის დროს კი ძვალზედ თავის ბასრს კბილებს ერთმანეთზე ავარჯიშებენ....

ამ მდგომარეობაში არიან ამ ჟამად ჩვენი სიღნაღელი ვაჭარი, ქიზიყელი მეძროხე,—სიღნაღელი მეთამასუქე, ქიზიყელი მევენახე.

ეს შედარება წარმომიდგა თვალ-წინ გუშინ, როცა მშვენიერ მთვარიან საღამოს, სიღნაღის მოედანზედ ვუცქეროდი შეარაღებულ ხალხსა—დიდსა და პატარას, უფროს და უმცროს, ქართველსა და სომეხს.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, დიდი აღელვება არის სიღნაღში და მთელ ქიზიყში.

გავრცელდა ხმა, ვითომც ლეკებს აუკლიათ სოფელი **კ ა ბ ა ლ ი** ალაზანზედ და იქიდამვე ქიზიყელების ძროხა წაუსხამთ. აგრეთვე მოვიდა ამბავი, ვითომც **ლაგოდეხს** დასცემოდნენ ლეკები და სხვათა შორის 40 ყაზახი მოეკლათ; მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა.

ლეკების მხრით მართლა შიშია, ზოგიერთი სოფელი გახიზნდა; სიღნაღელებმაც მიმალეს ძვირფასი ქონება ვერცხლისა და ფულისა. ამბობენ, ვითომც ლეკებს 3 ბაირაღი დაუქვთ და სულ 800 კაცია მაგრამ ნამდვილი ცნობები ჯერ არა; არის რა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნაწილი დაღესტნისა იყოს აჯანყებული, და ისიც რომ ერთი პარტია იყოს გამოქცეული სადაველაოთ. ამის შესახებ სინამდვილეთ არა ვიცით-რა.

სოფლებიდგან ხალხის შეკრიბეს. გამოსული და შეიარაღებული ხალხი. ალაზანზედ გადაიყვანეს. საცოდავ სურათს წარმოადგენდა ახალად მოკრებული კაცების მილიცია: ზოგი ტყავში იყო, ზოგი ახალუხით, ზოგი სულ ძონძებში გახვეული; მომეტებულ სიღარიბეს გვიჩვენებდა,—მცირე ნაწილი კი მრეკლეს ქართლურათ მითამაშობდა საომრათ.

სოფლებში გუთნები შედგა, რთველები მორჩნენ, ქვევრები კი ისეც ცარიელებია, რადგან ღვინის გამოსავალი ძრიელ წახდა.

ჟამთმისა არ იყოს, რაც იქნება უბედურობა, სულ ქიზიყელის კისერმა უნდა აიტანოს; სოფლებიდგან ხალხი გაგზავნეს ალაზანზედ, სიღნაღელები კი თავის ოთახებში მოსვენებით ბრძანდებიან. მართალია, სიღნაღი შეიარაღდა, ყველამ თოფი აიღო; მაგრამ, თუ საქმე დღისინ მივიდა, მარტო სოფლის ხალხის სისხლი დაიღვრება.

სიღნაღის ამ ალაგას დამაარსებელნი ეხლანდელ სტრატეგიკოსებზედ ჭკვიანები ყოფილან, რომ აქ ციხე აუშენებიათ; ამისთანა სამხედრო ბურჯი, როგორც სიღნაღია, ძნელათ მოიპოვება; იმასაც რომ არ შევეხოთ, რომ ბუნებითი დამცველები ბევრი აქვს **სიღნაღს**, საკმაო იქნება, თუ მოვიხსენიებთ, რომ **სიღნაღ**ში გზა გარეშემო შემორტყმულ სოფლებზედ მიდის; მაშა სადამე, ჯერ უნდა სოფლები გასრისოს მტერმა და მერე **სიღნაღ**ში ისე ავიდეს.

ამის გამო რა საჭიროა, რომ სიღნაღელები მარტო მეიდანზედ დაიარებიან იარაღით: უფრო კარგი, სასარგებლო და საჭიროა, რომ ეგენიც ალაზანზედ წაეყვანათ და გული ლეკის ტყვიისთვის მიეშვირათ. თორემ სუყველაფერში უბედურება ქიზიყელ გლეხს ვათრევინოთ, რაღას გამოვრჩებით მას! ისეც დაცემული და დაჩაგრულია,—რაღა სასარგებლო იქნება ვისთვისმე მისი ამოკვლა და ამ ქვეყნიდგან განტევება! სიღნაღელები უფრო მარდათ წავლენ ალაზანზედ: ქიზიყელი გლეხი მოწყვეტილია ჯანზედ, დაქანცულია, მშიერია, ისეც ნახევარი მკვდარია; სიღნაღელები კი შესვენებულნი არიან, მაძღარი და თამამი; უფრო უნდა გულადათ ეომონ მტერს. მაშა სადამე უფრო სასარგებლოა, რომ სიღნაღელები ალაზანზედ გაჰყვანათ, ქიზიყელ გლეხებისთვის კი ჩაებარებინათ თავიანთი სოფლების დაცვა და გზების შეკვრა, რომლებიც სოფლებიდგან სიღნაღში მიდიან; მაგრამ...

კ. ბ—შვილი

II

მოგვყავს რამდენიმე ალაგი ამ საგნისავე შესახებ, ერთის კერძო წიგნიდგან. რომელიც ერთს ჩვენს ნაცნობს მოუვიდა ამ დღეებში ყვარლიდამ: რედ.

„**ყვარელი**, 11 ენკენისთვეს. ბედნიერი ხარ, ჭეშმარიტად, რომ შენ შენის შვილებით ამ დღეს აქ არა ხარ...

„ჯერ სამის დღის წინათ დაავგდეს ხმა, რომ ერთი ნაწილი დაღესტნის ადგაო და ეს მეოთხედღეა, რაც მთელი ყვარელი ჩვენს გალავანში ვართ დახიზნული.

„ხმა იყო, რომ ორ გზით მოდიან ლეკებიო: ერთი ახალ-სოფელს უნდა დასცემოდა და მეორე ყვარელს. გეცოდინება, რასაკვირველია, რომ მიხაილოვკს და კაბალს დაეცნენ ახალ-სოფელშიაც, საცხენისის მთაზედ, ეს მესამე დღე არის, თვალის-თვალ უყურებენ დაბანაკებულს ლეკის ჯარს.

„გუშინ მოგვივიდა ა—ის წიგნი, რომ წყალი მოგვიწყვიტა მტერმაო; მაგრამ ხალხი გაუგზავნია, ხუთამდი ლეკი მოუკლავთ და წყალიც მოუშვიათ. დღეს, ისევ ის გვწერს, რომ წყალი ისევ მოგვისპესო და ველარც ხალხს აგზავნის.

„ხალხი ყოჩაღათ არის, მაგრამ თოფიარაღი და წამალი ზოგს არ გაგვაჩნია და ეს გვაბრკოლებს...

„გ. ჯ-საგან მოვიდა ამბავი, რომ ქალაქიდამ ჯარები მოდიანო.

დღიური

*** **თ. რ. ი.** ანდრონიკაშვილის მაგიერ, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ვიღაც ავაზაკმა დასჭრა ხანჯლით, ალაზნის მხრის ჯარის უფროსად დანიშნულია ღენერალ-მაიორი თ. ი. კ. ორბელიანი.

*** კახეთიდამ რამდენიმე წერილი მოგვივიდა ამ უკანასკნელ დროს, რომელშიაც გვთხოვენ გამოვაცხადოთ იმათი ნატვრა და სურვილი, რომ იმათკენ ყოველ დღე დადიოდეს ფოჩტა.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს იმათი თხოვნა ყოვლად კანონიერი და ყურადღებაში მისაღებია განსაკუთრებით ახლა, ამ ომიანობის დროს, და როდესაც კახეთის სამზღვარზე ასეთი ამბებია.

მაგრამ ჩვენ ამ საქმეში მხოლოთ,

იმით შეგვიძლია კახელებს დავეხმაროთ, რომ ეს თხოვნა ბეჭედით გამოვაცხადოთ. საუბედუროთ, ამ გვარ გამოცხადებას ხშირათ სასურველი ნაყოფი არ მოაქვს. ამის გამო ჩვენი რჩევა ეს არის:

კახეთის ორს ქალაქს:—თელავსა და სიღნაღს შეუძლიანთ სთხოვონ უმაღლეს მთავრობას, რომ ამ ქალაქში, მუდამ დღე თუ არა, კვირაში ოთხჯერ-ხუთჯერ მაინც მოდიოდეს თფილისადამ ფოჩტა. და თუ ფოჩტის მთავრობა ამის გამო მომეტებულ ხარჯს სრულად ვერ იკისრებს, ამ ორ ქალაქს შეუძლია ერთი ნაწილი ამ ხარჯისა თვითონ იკისროს. ეს ბევრი-ბევრი სამ-ოთხ თუმანს თუ მოითხოვს თვეში და, იმედია, რომ იმ სარგებლობასთან შედარებით, რომელსაც კახეთი ფოჩტის ხშირ სიარულით მიიღებს, ეს ხარჯი არაფრად ჩავარდება.

*** ერთს უცხო ქვეყნის გაზეთში წავიკითხეთ, რომამ ახლო ხანში ბერანიაში (ლეიპზიღში) ორი ისტორიული წიგნი გამოსულა, რომელთაგან ერთი პირ-და-პირ კავკასიას შეეხება და მეორე „ოსმალეთი და მცირე აზიის სომხები.“

*** ზოგიერთ უეზდებიდამ გვწერენ, რომ გაზეთებში კი წავიკითხეთო, რომ თ. მიხ. ბებუთოვს დაუბეჭდინებია და გამოუცია თავის ნათარგმნი კრილოვის იგავნი; მაგრამ, საუბედუროთ, ეს წიგნი ავტორს, ქალაქს გარეთ, არსად გაუგზავნია და, თუმცა შკოლებისათვის ეს ძილიან გამოსადეგი წიგნია, მაგრამ უეზდის ქალაქებში და სოფლებში არსად არ იყიდებაო.

*** სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ამას წინათ იქ უფ. უ—ოვს მოსდიოდა თურმე თფილისიდამ ტელეგრამმები და მთელი სიღნაღი ამ ტელეგრამმების წყალობით ყოველ დღე ტყობულობდა ომიანობის ახალ ამბებს. მაგრამ, რადგან სხვა მცხოვრებლებმა არ მოუმართეს ხელი უფ.—უოვს, ამის გამო მარტო იმას სამძიმოდ გაუხდა დეპეშების ფულების გადახდაო და თავი დაანებაო. ამ ნაირად, ახლა მხოლოთ კვირაში ორჯერ, როცა ფოჩტა და გაზეთები მოდის, ვტყობულობთ ომის ამბებსო და ამის გამო ძალინ შეწუხებული და მოუთმენელი ვართო.

განცხადებანი

გამოვიდა ამ დღეებში

წესდება

სასჯელთაზედა რომელთაცა გადასწყვეტენ მოქმრიგებელნი მსაჯულნი.

კასსაციონი განაჩენებითა და

„თამგაქიას წესდება“

ისყიდება თ ფ ი ლ ი ს ში, ტერ-გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ქ უ თ ა ი ს ში ტერ-გრიქუროვის აგენტთან და ს ი ღ ნ ა ღ ში უ. ნ. ბამრეკელთან.

(3—1)

გაკვეთილები

თეორეტიულის და პრაქტიულის **ბუღალტერიისა** ორ-გვარის ნუ იტალიურისა, ბანკის, ფაბრიკის, საავაჭრო, კომისიურის და აგრეთვე **საავაჭრო არითმეტიკისა.**

ადრესი: ლაბორატორიის ქუჩა, ნამესტნიკის ბაღის პირდაპირ, ბ. ბ. ბ.